ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–88

(გაერთიანებული სხვა კომისიებთან)

ქ. თბილისი; 23 ივნისი; 2021 წ. 11:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ქეთევან მამულაშვილი
ალექსანდრე ხუჯაძე

გიორგი ტყემალაძე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი – **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - **მარიამ კვერნაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

მ/წლის 23 /06 ქ.თბილსისი მუნიციპალიტეტის საკრებულოში, კომისიათა გაერთიანებული სხდომა გაიმართა, რომელზეც, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონის პირობების შესახებ საკითხი მოისმინეს. საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – **ირაკლი თავართქილაძემ** წარადგინა.

დასაწყისისთვის, **ირაკლი თავართქილაძემ** განმარტა, რომ დედაქალაქის მასშტაბით, მუნიციპალურ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების 2 ნებართვა 2009 წელს გაიცა და ნებართვის მფლობელი კომპანიები ამ უფლებით უკვე 12 წელია სარგებლობენ. მისივე თქმით, ნებართვების მოქმედების ვადა იყო **2021 წლის 3 აპრილამდე,** თუმცა ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ნებართვის მფლობელებთან 2021 წლის 2 აპრილს დადებული შეთანხმებების საფუძველზე, ნებართვების მოქმედების ვადა გაგრძელდა **2021 წლის 30 ივნისამდე.**

ირაკლი თავართქილაძემ ასევე განმარტა რომ, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მხრიდან იგეგმება, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის განკარგვის მიზნით ახალი ელექტრონული აუქციონის გამოცხადება, ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პირ(ებ)ის გამოვლენასა და ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას ესაჭიროება გონივრული ვადები, განიხილება არსებული ნებართვების მოქმედებების ვადის გაზრდა **2021 წლის პირველ სექტემბრამდე.**

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ნებართვის მოქმედების ვადის ამოწურვის გამო, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა ორგანოებმა მოამზადეს ახალი პირობები, რომელიც მომგებიანი და ხელსაყრელი იქნება მუნიციპალიტეტისა და ბიზნესისათვის. მისივე თქმით, ელექტრონული აუქციონის პირობებზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა ორი მთავარი საკითხი, მუნიციპალიტეტის ფინანსური სარგებელი და სისტემის გამართული მუშაობა.

ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა იქვე დასძინა, რომ წლების წინ ჩატარებული ტენდერის პირობების მიხედვით, გარე რეკლამის განთავსებისგან მუნიციპალიტეტი მინიმალურ შემოსავალს იღებდა. ახალი პირობების მიხედვით, გათვალისწინებულია სამართლიანი და მუნიციპალიტეტისთვის მომგებიანი ფინანსური მხარე.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ შესაბამისი ელექტრონული აუქციონების გამოცხადების მიზნით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მხრიდან ეთხოვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული აუქციონის ლოტების საწყისი საბაზრო ღირებულებების დადგენა ნებართვის მოქმედების 10 და 15 წლიანი ვადების შემთხვევებში. კერძოდ:

- 1 ლოტად - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- 2 ლოტად - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების შესაბამისად;

- 10 ლოტად - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული რაიონების შესაბამისად;

თხრობისას, **ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა** აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 22 ივნისის შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, დადგენილ იქნა ლოტების საწყისი საბაზრო ღირებულებები, შემდეგნაირად:

- 1 ლოტად
  - 10 წლიანი ნებართვის შემთხვევაში - 20 615 513 ლარი;
  - 15 წლიანი ნებართვის შემთხვევაში - 31 584 669 ლარი.
- 2 ლოტად
  - **მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო**
    - 10 წლიანი ნებართვის შემთხვევაში - 12 571 920 ლარი;
    - 15 წლიანი ნებართვის შემთხვევაში - 19 481 154 ლარი.
  - **მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო**
    - 10 წლიანი ნებართვის შემთხვევაში - 7 012 816 ლარი;
    - 15 წლიანი ნებართვის შემთხვევაში - 10 524 276 ლარი.

    2 ლოტის ჯამი: 15 წლიანი - 30 005 430 ლარი; 10 წლიანი - 19 584 736 ლარი
- 10 ლოტად
  - 10 წლიანი ნებართვის შემთხვევაში ჯამურად - 15 461 555 ლარი;
  - 15 წლიანი ნებართვის შემთხვევაში ჯამურად - 23 688 397 ლარი.

ირაკლი თავართქილაძემ დაზუსტების სახით აღნიშნა, რომ საექსპერტო დასკვნის საფუძველზე დადგენილი აუქციონის შესაძლო საწყისი საბაზრო ღირებულებებიდან ყველაზე მაღალი ოდენობა დაფიქსირდა ნებართვის 15 წლის ვადით, 1 ლოტად. ამასთან, მომხსენებლის თქმით, აუქციონით პირთა ფართო წრის დაინტერესების, მაღალი კონკურენციისა და სამართლიან პირობებში აუქციონის ჩატარების უზრუნველყოფისათვის, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, აუქციონზე განკარგულ იქნას გარე რეკლამის ნებართვები **2 ლოტად, 15 წლის ვადით** (მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების შესაბამისად), თუმცა საწყის საბაზრო ღირებულებად განისაზღვროს ექსპერტიზის დასკვნით 1 ლოტად, 15 წლის ვადით ნებართვის განკარგვის შემთხვევაში დადგენილი ჯამური საფასური (**31 584 669 ლარი**), შესაბამისი ლოტების საწყისი საბაზრო ღირებულებების პროპორციულად. კერძოდ, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე ნებართვის განკარგვის ფასი განისაზღვრება 20 506 478 ლარით, ხოლო მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე ნებართვის განკარგვის ფასი განისაზღვრება 11 078 188 ლარით. შესაბამისად, აღნიშნულით უზრუნველყოფილ იქნება ნებართვის განკარგვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის მაქსიმალურად ოპტიმალური პირობებით და ამასთან, აუქციონის სამართლიან და კონკურენტულ პირობებში გამართვა.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ კანონმდებლობის შეასაბამისად, გარე რეკლამები წარმოადგენს I კლასის შენობა-ნაგებობებს და ექვემდებარება ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეტყობინების პროცედურას. მისივე თქმით, საქართველოს მთავრობის მიერ იგეგმება შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების განხორციელება, რომლის თანახმად, არსებული ობიექტები, რომლებიც გარე რეკლამის აუქციონის ფარგლებში განიკარგება, აღარ დაექვემდებარება I კლასის შენობა-ნაგებობებისათვის საჭირო

შეტყობინების პროცედურას. ამასთან, მომხსენებლის თქმით, ვინაიდან, დღეის მდგომარეობით აღნიშნული ობიექტები/ლოკაციები განთავსებულია/აღმართულია, ხოლო კანონმდებლობით მოთხოვნილი მშენებლობის შეტყობინების წესის დაცვა, მათ შორის, 1 წელიწადში ერთხელ შეტყობინების განახლება, დამატებით დროსა და რესურსს მოითხოვს, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი თხოვნის საფუძველზე, სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ეთხოვა, საექსპერტო დასკვნის მომზადება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული აუქციონის ლოტების საწყისი საბაზრო ღირებულებების დადგენა განეხორციელებინა, როგორც არსებული ნორმატიული რეგულირების პირობებში, ასევე იმ დაშვებით, რომ განხორციელდება ზემოხსენებული ნორმატიული ცვლილებები. საექსპერტო დასკვნის მიხედვით, აღნიშნულმა გარემოებამ გავლენა იქონია საწყისი საბაზრო ღირებულების ოდენობაზე, კერძოდ, აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდგომ, აუქციონის საწყისი საფასური გაიზრდება 600.000 ლარით.

სააგენტოს ხელმძღვანელმა დაწვრილებით ისაუბრა, გამოსაცხადებელი აუქციონის ფარგლებში, გარე რეკლამის ნებართვის განკარგვის სხვა ძირითად პირობებზე, რომლის მიხედვით:

- გამარჯვებულ პირს, ნებართვა გადაეცემა 15 წლის ვადით, 2 ლოტად - მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების შესაბამისად, შესაბამისი ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მდებარე, განსაზღვრულ ადგილებზე, განსაზღვრული პარამეტრების გარე რეკლამების განთავსების მიზნით.

- აუქციონის სრული საფასური გადახდილ უნდა იქნას ერთჯერადი, წინასწარი გადახდის გზით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

- გარდა არსებული ობიექტებისა, გამარჯვებული პირი უფლებამოსილია ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე განათავსოს გარე რეკლამის მცირე საშუალებები, ერთდროულად (დროის იდენტურ მონაკვეთში) არაუმეტეს მარჯვენა სანაპიროზე არაუმეტეს 470 ერთეულისა, ხოლო მარცხენა სანაპიროზე - არაუმეტეს 360 ერთეულისა. გარე რეკლამის მცირე საშუალებად მიიჩნევა ღია სივრცეებში განთავსებული სარეკლამო დანიშნულების მანიშნებლები, რომელიც მიანიშნებს ამა თუ იმ კონკრეტული კომერციული ობიექტის მდებარეობას/მიმართულებას.

- იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებულ პირს სურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების საფუძველზე, ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მოიპოვოს გარე რეკლამის განთავსების უფლება არსებული ობიექტებისგან განსხვავებულ (დამატებით) ადგილებზე ან/და მეტ ფართობზე, ასევე, მცირე საშუალებების აუქციონის პირობებით განსაზღვრულზე მეტ რაოდენობაზე, (შემდგომში - „ახალი ობიექტები“), ახალი ობიექტის განთავსების ნებართვის მოპოვების სანაცვლოდ, მან მუნიციპალიტეტს უნდა გადაუხადოს ამგვარი ცვლილებით გამოწვეული გაუმჯობესების შესაბამისი საბაზრო ღირებულება, რომელიც დგინდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აუდიტორული კომპანიის დასკვნის საფუძველზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე, განსაზღვრულ ობიექტებზე და ასევე, სხვა ნებისმიერ ადგილზე, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუზღუდავად განათავსოს ნებისმიერი სახის სარეკლამო ინფრასტრუქტურა და გაავრცელოს მასზე ისეთი სახის რეკლამა, რომელიც ემსახურება საზოგადოების ინფორმირებას მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე. გამარჯვებული პირი ვალდებულია, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში მუდმივად უზრუნველყოს განსაზღვრულ ადგილებზე განსაზღვრული პარამეტრების სარეკლამო ინფრასტრუქტურის განთავსება, ასევე, მათი მოვლა-პატრონობა.

- აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ აუქციონის სრული საფასურის გადახდის უზრუნველსაყოფად გადასახდელი ბეს/სანაკო გარანტიის ოდენობა შეადგენს საწყისი საფასურის 10%-ს (მარჯვენა სანაპიროს შემთხვევაში - 2 050 650 ლარი; მარცხენა სანაპიროს შემთხვევაში - 1 107 820 ლარი);

- აუქციონში მინიმალური ბიჯი შეადგენს საწყისი საფასურის 5 %-ს (მარჯვენა სანაპიროს შემთხვევაში - 1 025 325 ლარი; მარცხენა სანაპიროს შემთხვევაში - 553 910 ლარი);

- ოქმის გამოცემიდან 15 კალენდარული დღის ვადაში დაიდება აუქციონის პირობებში მითითებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ნებართვის გამცემის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, არაუმეტეს დამატებით 15 კალენდარული დღით.

- აუქციონის სრული საფასურის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, გამარჯვებულ პირს დამატებით განუსაზღვროს გონივრული ვადა, არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა, დარღვევის გამოსასწორებლად და დააკისროს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

- აუქციონის სრული საფასურის (ასევე, დაკისრებული პირგასამტეხლოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულებით დადგენილ ან/და ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში გადახდის დღიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში (მაგრამ, არაუადრეს 2021 წლის პირველი სექტემბრისა) გაიცემა სანებართვო მოწმობა.

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი აუქციონის პირობები სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არსებითად აუმჯობესებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გარე რეკლამის განთავსების ნებართვის განკარგვის პირობებს (მათ შორის, ნებართვის საფასურის ნაწილში), დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოფს სამართლიანი და კონკურენტული გარემოს შექმნას, ასევე, აწესებს ნებართვის გამცემსა და ნებართვის მფლობელს შორის სამართლებრივ და სახელშეკრულებო ურთიერთობის ჩარჩოს.

აზრი გამოთქვეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - **გიორგი ტყემალაძემ** გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, მნიშვნელოვანია, რომ აუქციონის გამოცხადებამდე მოხდეს საკითხის დეტალური განხილვა. გიორგი ტყემალძე მიესალმა მიმდინარე ფორმატით საკითხს ირგვლივ გამართულ მსჯელობას და ინტერესი გამოთქვა ყველა ჩართული მხარის მოსაზრებებისა და პოზიციების მიმართ. საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრის - ვახტანგ შაქარიშვილის პოზიციის მოსმენაც ისურვა.

გიორგი ტყემალაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია, რომ სააუქციონო კონკურენცია შედგეს და გაიმართოს ვაჭრობა ყველაზე მაღალი ფასის შეთავაზების მიზნით.

გიორგი ტყემალაძემ ასევე აღნიშნა, რომ გარე რეკლამების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია დედაქალაქისთვის. მისივე თქმით, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის საგანია ის გარემოება, უზრუნველყოფილ იქნას სამართლებრივ/ტექნიკური ბერკეტი/მექანიზმი, რათა სარეკლამო მომსახურების შეუფერხებელი მიღება შეძლოს როგორც ბიზნეს სექტორმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა, ასევე საარჩევნო სუბიექტებმა, მით უფრო როცა მოახლოებულია წინასაარჩევნო პერიოდი.

დასასრულს, გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ თუკი აუქციონში გაიმარჯვებს ახალი კომპანია, ახალი მოთამაშის ნებართვის მფლობელ კომპანიებთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია რაიმე ტიპის სამართლებრივი მექანიზმის არსებობა, რომლითაც დაზღვეული იქნება ზემოაღნიშნული რისკები.

საკრებულოს დამოუკიდებელმა წევრმა **ვახტანგ შაქარიშვილმა** გამოთქვა თავისი პოზიცია. ვახტანგ შაქარაშვილის თქმით, იგი არ ეთანხმება, აღნიშნული სფეროს მართვის უფლების გარეთ გატანას და განკერძოებას. მისივე თქმით, დედაქალაქისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა, რომ ნებართვის გამცემი იყოს მუნიციპალიტეტი. მისივე თქმით, აღნიშნული პრაქტიკა ვრცელდება ევროპის განვითარებულ ათამდე ქვეყნაში.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლების გასხვისება იყო წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი გადაწყვეტილება. მისივე თქმით, პრობლემა სათავეს იღებს 2009 წლიდან, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში, ერთგვერდიანი ხელშეკრულების საფუძველზე ფიქტიურად ორ კომპანიას, ხოლო ფაქტობრივად ერთ კომპანიას გადაეცა თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება.მანვე, ისაუბრა მოქმედი ოპერატორი კომპანიის არაკეთილსიდისიერებაზე, რომლის მიხედვით, კომპანიის მერ დედაქალაქის ტერიტორიაზე აღმართულია არაერთი უნებართვო კონტრუქცია, რომელთა უმრავლესობის დემონტაჟი განახორციელა ზედამხედველობის სამსახურმა მისივე მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას არსებული პირობებით, ფასის, კონკურენციის, სტანდარტებისა და უსაფრთხოების კუთხით. მანვე ისაუბრა გამოსავალზეც, რომლის მიხედვით, იმისთვის, რომ დედაქალაქმა მეტი შემოსავალი მიიღოს, ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს ბიზნესის კონკურენციის პირობები, უნდა მოხდეს ძველი ხელშეკრულების გაუქმება და აღნიშნული სფერო ქალაქისთვის დაბრუნება.

ვახტანგ შაქარიშვილმა რამდენიმე არგუმენტი მოიყვანა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის მისთვის მიუღებელი წარმოდგენილი პირობები. **ვახტანგ შაქარიშვილმა** თავისი არგუმენტაციის გასამყარებლა, სსიპ-ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა და ასევე, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის მიზნით დადგენილი ძირითადი პირობები მოიყვანა.

როგორც ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, ყველასთვის იყო ცნობილი მოქმედი ოპერატორი კომპანიის არაკეთილსინდისიერების, გადაცდომებისა და დარღვევების შესახებ, რომლის შედეგად წლების განმავლობაში ირღვეოდა მუნიციპალიტეტი უფლებები და დედაქალაქი არასწორ შემოსავალს იღებდა. თუმცა, თავისი და სხვა დაინტერესებული პირების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, დღის წესრიგში არასოდეს დამდგარა „კაბალური ხელშეკრულების" მოშლის საკითხი.

ირაკლი თავართქილაძემ, ვახტანგ შაქარაშვილის საპასუხოდ გააკეთა რამდენიმე საპასუხო განმარტება. ამასთან, ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა ისაუბრა იმ ბუნებრივ უპირატესობაზეც, რომელიც დღეს მოქმედ ოპერატორს გააჩნია წლების განმავლობაში დაგრივილი გამოცდილებიდან გამომდინარე. მანვე განმარტა, რომ წარმოდგენილი პირობებით განსახორციელებელი პროექტი რენტაბელური და მომგებიანი იქნება, როგორც მოქმედი ოპერატორისთვის, ასევე, სხვა დაინტერესებული პირისთვის. ირაკლი თავართქილაძემ თავისი სიტყვების გასამყარებლად ასევე ექსპერტიზის დასკვნები მოიშველია.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი მნიშვნელოვანი და პრინციპულია. მისივე თქმით, დღეს არსებული რეალობიდან გამოდინარე, საქმე გვაქვს მანკიერ პრაქტიკასთან, როდესაც, ერთ კომპანიას აქვს მონოპოლია. ნებართვის მფლობელს შეუძლია გახსნას არაერთი კომპანია, სასურველ ფასში გაყიდოს რეკლამა, აჩვენოს მცირე შემოსავალი და ბიუჯეტში შეიტანოს ნაკლები თანხა. მისივე თქმით მუნიციპალიტეტის მიზანი უნდა იყოს შეიმუშავოს სამართლიანი პირობები ბიზნეს სექტორის დასაინტერესებლად, ასევე იმისთვის, რომ ამ ბიზნესისგან დედაქალაქის ბიუჯეტში შევიდეს რეალური შემოსავალი.

დასასრულს, **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ იზიარებს გიორგი ტყემალაძის მოსაზრებებს გარე რეკლამის ნებართის ვადებთან დაკავშირებულ რისკებთან მიმართებაში. ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი პირობებით ნებართვის გაცემის შედეგად, ნებართვის გაცემის საფასურის ერთჯერადად გადახდის შემთვევაში მუნიციპალიტეტს საშუალება ეძლევა გადაჭრას პანდემიით შექმნილი სხვადასხვა პრობლემა. გარდა ამისა დაამატა, რომ ლოტებს შორის სხვაობა ნებართის გაცის ფასის ნაწილში კიდევ უფრო მეტად გაზრდის კონკურენციას, რაც დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური სარგებელის მიღების გაზრდის თვალსაზრისით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია